RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

3+3 რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა და საქართველო:რა დევს სასწორზე?

სოსო ძამუკაშვილი

175

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

სოსო ძამუკაშვილი

3+3 რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა და საქართველო: რა დევს სასწორზე?

175

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

გასული ათწლეულების განმავლობაში საქართველო და თურქეთი ხშირად გამოდიოდნენ სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის დაწყების ინიციატივით. 1999 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით, „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივის იდეა შეიმუშავა. მომდევნო წლებში მსგავსი გეგმა წარადგინა თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმაც - ამჯერად „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ ინიციატივის სახით. მოგვიანებით, 2008 წელს, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის“ დაარსების საკუთარი გეგმები წამოაყენა, რომელიც თურქეთისა და რუსეთის დახმარებით სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობდა ხელს. 2010 წელს მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ გამოაცხადა „ერთიანი კავკასიის“ პლატფორმის იდეა (Kaleji, 2021). მაგრამ მიუხედავად თანამშრომლობის ამგვარი სურვილებისა, საბოლოო ჯამში, ვერც ერთმა ზემოხსენებულმა ლიდერმა ვერ შეძლო ამ სურვილებისთვის ხორცი შეესხა.

2020 წლის დეკემბერში, მთიანი ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, ერდოღანმა კვლავ წამოაყენა რეგიონული თანამშრომლობის საკუთარი გეგმა (Daily News, 2020). თუმცა, წინანდლისგან განსხვავებით, ამჯერად ეს იყო 6 ქვეყნის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის იდეა (3+3)*, რომელიც გულისხმობდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) რეგიონის გარშემო არსებულ ქვეყნებთან (თურქეთი, რუსეთი და ირანი) თანამშრომლობას. პლატფორმა მიზნად ისახავდა ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების გზით რეგიონის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას (Reuters, 2020). ბაქოში ყარაბაღის ომში გამარჯვებისთვის მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ერდოღანმა დიდი ყურადღება დაუთმო სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის საჭიროებას, განსაკუთრებით, ტრანსპორტის სექტორში, რომელიც ყველა ქვეყნისთვის „მომგებიანი თამაში“ იქნებოდა და თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებს ახალ დასაბამსაც მისცემდა (Deutsche Welle, 2020; Reuters, 2020a). ირანი და რუსეთი მაშინვე დაინტერესდნენ პროექტით. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯავიდ ზარიფი რეგიონში კოორდინაციისა და თანამშრომლობის საკითხებზე განსახილველად პლატფორმაში გათვალისწინებულ დანარჩენ 5 ქვეყანასაც კი ესტუმრა.

ერთი შეხედვით, „3+3“ ინიციატივის იდეა მიმზიდველად გამოიყურება, რადგან მისი მიზანი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების გზით მდგრადი მშვიდობის შენებაა. თუმცა, რეგიონული თანამშრომლობის უკან

* იმის გამო, რომ საქართველომ უარი განაცხადა ინიციატივის წევრობაზე, „3+3“ დღეისათვის, ფაქტობრივად, „3+2“ ინიციატივაა. წინამდებარე კვლევაში ზოგადი განხილვისას პროექტი „3+3“-ად არის მოხსენიებული, ხოლო „3+2“-ად კი მაშინ, როდესაც საქართველოს ინიციატივაში არმონაწილეობაზეა ყურადღება გამახვილებული.

არალიბერალური რეგიონული მოთამაშეების სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ძალის გასაზრდელად ახალი პოლიტიკური ბერკეტის შექმნის სურვილი დგას. აქედან გამომდინარე, ასეთი პლატფორმის არსებობა საქართველოს უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ახალი შესაძლებლობა რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ სამხრეთი კავკასიის გეოპოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 2020 წლის ნოემბერში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოსკოვის შუამდგომლობით ხელშეკრულების მიღწევის შემდეგ რეგიონში გავლენის გასაზრდელად რუსეთმა დამატებითი ბერკეტი მიიღო - „ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო მოქმედებების დასრულების ზედამხედველობისთვის“ 2000 რუსული სამშვიდობო სამხედრო დანაყოფი გაგზავნა. ამავდროულად, არც ევროკავშირს და არც აშშ-ს უცდია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაჩაღებულ შეიარაღებულ კონფლიქტში აქტიურად ჩარევა, რამაც კრემლს ხელი შეუწყო, რომ კონფლიქტში მთავარი შუამავალი გამხდარიყო (Dzamukashvili, 2021; Tass, 2020). ერდოღანის წინადადებით მოსკოვის დაინტერესებაც სამხრეთ კავკასიაში რუსული გავლენის გაზრდის შესაძლებლობის გამოჩენის მაჩვენებელია (BBC, 2020). 6 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი დიდად იყო დაინტერესებული „3+3“ ფორმატითა და მის ფარგლებში „უსაფრთხოების საკითხების მოგვარებით, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების გაფართოებით“ (Anadolu Agency, 2021).

პროექტის მიმართ რუსეთის ენთუზიაზმი გასაკვირი არაა, რადგან კრემლს ყოველთვის სურდა საკუთარი გავლენის გაზრდა და ე.წ. აღმოსავლეთით დასავლური აქტორების შემოჭრის შეჩერება კრემლის „განსაკუთრებული ინტერესების“ რეგიონში. მოსკოვის ინტერესებშია ასევე სამეზობლოს დასავლეთისგან სრული იზოლირება და აშშ-ისა და ნატოსთვის რეგიონთან თანამშრომლობის გაძნელება, განსაკუთრებით - მათ სტრატეგიულ პარტნიორ საქართველოსთან (Cooley 2017). აქედან გამომდინარე, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ რეგიონის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას ისახავს მიზნად, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში, წარსულში რუსეთის მიერ ჩადენილი ქმედებების გათვალისწინებით. ექვსმხრივი თანამშრომლობის რეგიონული პლატფორმა მოსკოვისთვის ხელსაწყოა, რომ საკუთარ სამხრეთ სამეზობლოში ახალი რეალობა შექმნას და შედარებით მომცრო სახელმწიფოებზე ჰქონდეს დომინირება. აღსანიშნავია, რომ მოსკოვი ამგვარი ინიციატივებით არასდროს ყოფილა დაინტერესებული, მათ შორის, ერდოღანის მიერ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის შემდეგ შემუშავებული „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმითაც“ კი. იმ დროს თურქეთი და რუსეთი სავაჭრო დავაში იყვნენ ჩაბმული - რადგან ანკარამ რუსეთის

აგრესიის შემდეგ საქართველოს დასახმარებლად შემოსულ აშშ-ის გემებს ბოსფორის სრუტის გავლის საშუალება მისცა (Radio Free Europe/Radio Liberty, 2008). ამასთანავე, ანკარასა და ერევანს შორის ურთიერთობების განახლება კრემლში კითხვის ნიშნის ქვეშაც არ მდგარა, რადგან სომხეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობები რეგიონში მოსკოვის დიდი გავლენის შენარჩუნების გზა იყო. აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომმა სიტუაციის ცვლილება გამოიწვია და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს არ ახარებს თურქეთის გავლენის ზრდა, იგი იძულებულია რეგიონის ახალ რეალობას დაეთანხმოს და მოცემულ სიტუაციაში რაც შეიძლება მეტი უპირატესობა მოიპოვოს. ახლა კი, როგორც ბაქოსა და ერევანს შორის მთავარი შუამდგომლისთვის, „3+3" ფორმატი მოსკოვისთვის გავლენის გაზრდისა და თურქული გავლენის საპირწონეა.

თურქეთს უკვე აქვს გავლენა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე მას შემდეგ, რაც ანკარამ აზერბაიჯანის გამარჯვებაში, იარაღით მომარაგების გზით, დიდი წვლილი შეიტანა. თურქეთმა რეგიონში განათავსა საკუთარი მცირე ზომის სამხედრო დანაყოფი მაშინ, როდესაც ომის დაწყებამდე რეგიონში ანკარა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური მოთამაშე იყო. აღსანიშნავია, რომ არსებული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და თურქული სამხედრო ძალები რუსეთ-თურქეთის ერთიანი სამხედრო დაწესებულების ფარგლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც კი არიან განთავსებული. ამასთანავე, ანკარა და ბაქო რეგულარულად აწარმოებენ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს და თურქეთმა შესაძლოა სულ მალე განათავსოს საკუთარი სამხედრო ბაზა აზერბაიჯანში (Khachatryan, 2021). 2021 წლის ივნისში, ბაქოში ვიზიტის შემდეგ, ერდოღანმა აღნიშნა, რომ სამოკავშირეო ურთიერთობების შესახებ აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის 15 ივნისს დადებული შუშის დეკლარაციის ფარგლებში ანკარამ შესაძლოა აზერბაიჯანში სამხედრო ბაზა განათავსოს. ეს დოკუმენტი ანკარასა და ბაქოს შორის სამხედრო სფეროში გაძლიერებულ თანამშრომლობას ითვალისწინებს (Radio Free Europe/Radio Liberty, 2021).

თურქეთის მთავრობა აცნობიერებს რეგიონში რუსეთის დიდი გავლენის არსებობას და, მოსკოვთან შეჯიბრების მიუხედავად, რეგიონული ამბიციების მისაღწევად ისევ და ისევ კრემლთან თანამშრომლობას არჩევს. მაგალითად, ომის დასრულების შემდეგ თურქეთსა და აზერბაიჯანს სომხეთის გავლით ორი ქვეყნის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზის გახსნა სურთ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის სატრანსპორტო კავშირს და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანის სასარგებლოდ რეგიონის გეოეკონომიკური მნიშვნელობის ზრდას შეუწყობს ხელს (Dzamukashvili, 2021).

ირანს ინიციატივიდან პოტენციურად ყველაზე მეტი სარგებლის მიღება შეუძლია, იმის გათვალისწინებით, რომ თეირანს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ომში და რუსეთისა და თურქეთის მსგავსად რეგიონში მისი გავლენა საერთოდ არ გაზრდილა. ირანი, მისთვის აშშ-ის დაწესებული სანქციების გამო, ძლიერაა დაინტერესებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებით. ირანი ესაზღვრება ორ

კონტინენტთაშორის სატრანსპორტო კორიდორს, რომლებიც სამხრეთ კავკასიას კვეთს. ესენია: ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორი და სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანზიტო კორიდორი (Caucasus Watch, 2021). სამხრეთ კავკასიის რეგიონი ირანისთვის პოტენციური გასასვლელია შავ ზღვასა და ევროპაში და სომხეთსა და საქართველოში ახალი სახმელეთო გზების არსებობას თეირანის ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება. მეტიც, ირანი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს ინარჩუნებს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან, რაც დამატებითი ფაქტორი შეიძლება იყოს რეგიონში ირანის გავლენის გაზრდისთვის (Kucera, 2021). აქვე გასათვალისწინებელია, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები ჯერ სრულად არ აღდგენილა და საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები 2008 წლიდან, ფაქტობრივად, გაწყვეტილია. სწორედ ამიტომ თეირანი შესაძლოა ინიციატივის ერთადერთი მხარე იყოს, რომელიც პლატფორმაში წამყვან პოზიციას დაიკავებს და მაღალი რანგის შეხვედრებსაც უმასპინძლებს.

ამასთანავე, 2020 წლის ყარაბაღის ომიდან მოყოლებული, ბაქომ კონტროლი აღიდგინა ტერიტორიაზე, რომელსაც ირანის სახმელეთო სატრანსპორტო გზები კვეთს. თუმცა, ომის შემდეგ აზერბაიჯანის მთავრობამ მკაცრი პოლიტიკა აამოქმედა სომხეთის გავლით ამ ტერიტორიაზე შესვლასთან დაკავშირებით, რამაც თეირანსა და ბაქოს შორის ურთიერთობები საკმაოდ დაძაბა (Kucera, 2021a). ასეთ სიტუაციაში ექვსმხრივი თანამშრომლობის ინიციატივას შეუძლია ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანზიტო კორიდორების გაერთიანება. შედეგად, თეირანი აზერბაიჯანთან ურთიერთობებს „დაათბობს“ და საკუთარი ტვირთგადამზიდების უსაფრთხო გავლის გარანტიასაც მოიპოვებს. ექვსმხრივი ინიციატივის ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო რკინიგზის ქსელების მეშვეობით, ირანს შეუძლია გახდეს ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონული მოთამაშე სამხრეთ კავკასიაში.

უსაფრთხოების გამოწვევები

2021 წლის დეკემბერს „3+3“ ინიციატივის გახსნით შეხვედრას რუსეთმა უმასპინძლა. ამ შეხვედრას არ დასწრებია საქართველო, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსკოვში ქართული დროშა ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების დროშებს შორის მაინც ფრიალებდა, რაზეც საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ რეგიონულ პლატფორმაში საქართველოს მონაწილეობა იქნებოდა „ძალიან ძნელი დეოკუპაციის პროცესის არ არსებობის გამო“. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა „წითელ ხაზად“ რჩებოდა ინიციატივაში მონაწილეობისთვის (Agenda, 2021). აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით აქამდე შედარებითი გაურკვეველი იყო, რადგან ის ამ თემაზე საუბრისას ყურადღებას საქართველოს რეგიონულ ინიციატივებში

მონაწილეობის მნიშვნელობაზე ამახვილებდა, „რეგიონში არსებულ პროცესების არჩამორჩენის მიზნით“. მიუხედავად ამისა, მისმა განცხადებამ საზოგადოებრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც მთავრობას 2021 წლის ნოემბერს ფორმატში მონაწილეობაზე ოფიციალურად უარის თქმა აიძულა. თბილისის გადაწყვეტილების შემდეგ ინიციატივა, ფაქტობრივად, „3+2-ად” გარდაიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ მას დანარჩენი 5 მონაწილე ქვეყანა კვლავ „3+3-ად” მოიხსენიებს. ყურადსაღებია, რომ ამ 5 ქვეყნის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ინიციატივის კარი „საქართველოსთვის კვლავ ღიაა“ (Agenda, 2021a). ეს მკაფიო მინიშნებაა, რომ პლატფორმის წევრ ქვეყნებს იმედი აქვთ, რომ საქართველომ შეიძლება შეიცვალოს ფორმატში წევრობის შესახებ პოზიცია.

„3+3“ საქართველოსთვის უსაფრთხოების დიდი გამოწვევაა და არ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერიტორიის 20 პროცენტს შეადგენენ, დღემდე ოკუპირებული აქვს რუსეთს. მოსკოვს კი „3+3“ ინიციატივაში წამყვანი პოზიციის დაკავება სურს (Detsch, 2020). ათ წელზე მეტია, რაც რუსული საოკუპაციო ძალები საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის ადმინისტრაციულ ხაზსა და მის მიღმა დემარკაციას ახდენენ. ამ პროცესს ხშირად „არალეგალურ ბორდერიზაციად“ ან „მცოცავ ოკუპაციად“ მოიხსენიებენ. სეპარატისტების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა გატაცება და შეპყრობა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ჰუმანიტარული პრობლემები ათ წელზე მეტია მოუგვარებელ პრობლემებად რჩება საქართველოსთვის (Paul, 2018). ამასთანავე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ორივე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა განათავსა. ომის შემდეგ თბილისსა და მოსკოვს გაწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები და ე.წ. „აბაშიძე-კარასინის დიალოგი“ ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის ერთადერთი არხია.

კრემლის მესვეურები „3+3“ მონაწილე სახელმწიფოების დელეგაციებთან შეხვედრის დროსაც ხშირად აღნიშნავენ, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მთავარი მედიატორია. ამით ისინი გამოკვეთენ, რომ „პრივილეგირებული ინტერესების“ რეგიონში წამყვანი პოზიციის შენარჩუნება მათთვის პრიორიტეტია. რუსეთი აზერბაიჯანსა და სომხეთში დღემდე ინარჩუნებს ძლიერ ბერკეტებს და მოსკოვის კონფლიქტში შუამავლობას ორივე ქვეყანა აქტიურად მოითხოვს. ერევანი, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, განსაკუთრებითაა დაინტერესებული მოკავშირე რუსეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესებში ჩართულობით (Minzarari, 2020). მაგალითისთვის, 2021 წლის დეკემბერს სოჭში გამართულ სამიტზე სომხეთის პრემიერ-მინისტრმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დადებითად შეაფასეს რუსეთის ჩართულობა ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის რეგულაციისა და შერიგების პროცესებში (Dzamukashvili, 2021b). ასეთი პირობები რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში დომინირებისა და, ზოგადად, სამხრეთ

კავკასიაში რუსული გავლენისა და პოლიტიკური რესურსების განსამტკიცებლად ნოყიერ ნიადაგს ამზადებს. რუსეთის სურვილი „3+3-ში“ ლიდერობაზე სიმბოლურად უკვე გაჟღერდა ინიციატივის მოსკოვში გამართულ პირველ შეხვედრაზე (Azernews, 2021). აქედან გამომდინარე, რეგიონულ წამოწყებაში რუსეთთან ერთად მონაწილეობა საქართველოსთვის არამიზანშეწონილი იქნება მანამ, სანამ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას არ შეწყვეტს. საქართველოსთვის „3+3“ ინიციატივაში მონაწილეობა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ერთიანობის სასწორზე შემოდების ტოლფასი იქნებოდა. კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გათვალისწინებით, საქართველოს „3+3“ ფორმატში მონაწილეობა „3+3+2“ რეალობის დათანხმების ტოლფასია, რადგან აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ავტომატურად გახდებიან ინიციატივის მონაწილე მხარეები. მოსკოვი პლატფორმას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ მხარდაჭერის გასამართლებელ არგუმენტად გამოიყენებს. ამასთანავე, პოლიტიკურ ფორმირებაში მონაწილეობა, რომელსაც რუსეთი უძღვება და რომელშიც საქართველოს მოუწევს კრემლის მიერ დაწესებული ვალდებულებების შესრულება, საერთაშორისო დონეზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის მკვეთრ ცვლილებად და „სუვერენიტეტზე უარის თქმადაც“ იქნება აღქმული (Batiashvili, 2021).

რუსული გავლენით გარშემორტყმული

სამხრეთ კავკასიაში კრემლის გავლენის ზრდა საქართველოსთვის სერიოზულ რისკებს აჩენს, რადგან „3+2“ ფორმატი რუსეთის, როგორც რეგიონში დომინანტი მოთამაშის, პოზიციებს კიდევ უფრო გააძლიერებს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ თბილისმა თანდათანობით შეძლო მოსკოვის გავლენის სფეროდან თავის დაღწევა და დღემდე ისწრაფვის ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში (ევროკავშირი, ნატო) გაწევრიანებისკენ. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70-80 პროცენტი ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მომხრეა, მოსახლეობის უმრავლესობა კი რუსეთს უმთავრეს საფრთხედ აღიქვამს (Jam News, 2020). 2000-იანი წლების პირველი ნახევრიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებას კრემლი უსაფრთხოების გამოწვევად და დასავლეთის მიერ რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრად აღიქვამს (Dzamukashvili, 2020c). თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ საქართველოს „3+3“ ფორმატში მონაწილეობა ქვეყნის სუვერენიტეტისთვის ზიანის მომტანია, საქართველოს იმავე ინიციატივაში არმონაწილეობაც არ იქნება სრულიად უსაფრთხო. საქართველოს უარი ფორმატში გაწევრების თაობაზე გრძელვადიან პერიოდში რუსეთს აიძულებს ინიციატივის მეშვეობით საქართველოსთვის არასახარბიელო რეალობა შექმნას, რაც შესაძლოა ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური იზოლაციაც კი გახდეს. დღეისათვის კრემლი ნატოსგან

უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს და სურს, რომ ნატომ შეწყვიტოს ე.წ. ღია კარის პოლიტიკა, არ დაუშვას უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანება და აღმოსავლეთის ფლანგზე შეამციროს სამხედრო აღჭურვილობა და დანაყოფები (The Telegraph 2022). სამხრეთ კავკასიაში აშშ-ისა და ევროკავშირის აქტიური ჩარევის გარეშე რეგიონში დასავლეთის რბილი ძალა შესუსტდება. დასავლური ბერკეტების ნაკლებობა და გავლენიანი არადემოკრატიული სახელმწიფოების, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი და ირანი, რეგიონში აქტიური ჩართულობა ჯაჭვური რეაქციით ძირს გამოუთხრის დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელშესახებ მიღწევებს და შეაფერხებს დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებს. საქართველომ უკვე გაიარა პოლიტიკური კრიზისის რამდენიმე ეტაპი, რამაც ქვეყნის დემოკრატიის ხარისხი დიდწილად უკვე შეამცირა (Dzamukashvili, 2021, 88-89). მაშინ, როდესაც არსებული გამოწვევების გადალახვა დასავლელი პარტნიორების აქტიური ჩართულობითაც ვერ მოხერხდა, დემოკრატიის შესუსტებული მხარდაჭერა დასავლეთისგან და ავტორიტარული აქტორების მიერ დაწესებული უსაფრთხოების არქიტექტურა ავტორიტარიზმის, კორუფციის, კანონის უზენაესობის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის არარსებობისთვის ნაყოფიერ ნიადაგს მოამზადებს. ამასთანავე, სამხრეთ კავკასიიდან დასავლური გავლენის განდევნით კრემლი ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას თბილისის რუსულ ორბიტაზე გადასაბირებელ ერთგვარ ბერკეტად გამოიყენებს.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სცენარის განხორციელების ალბათობა ძალზე მცირეა, განსაკუთრებით - მოკლევადიან პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას სამხრეთ კავკასიის ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა უნდა, ახალი ისტორიის გაკვეთილები გვიჩვენებს, რომ საქართველოს წარმატებით შეუძლია თავი გაართვას პრობლემებს ისე, რომ არ დაუახლოვდეს ავტორიტარულ აქტორებს, კერძოდ, რუსეთსა და ირანს. გასული 20 წლის განმავლობაში საქართველო უკვე იყო რეგიონის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტების შუაგულში. ასეთი პროექტებია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი და სამხრეთის გაზის კორიდორი. ეს პროექტები „3+3“ ინიციატივის მსგავსი რეგიონული ფორმატების გარეშე განხორციელდა და 20 წელზე მეტია წარმატებით მიმდინარეობს. ამრიგად, მათი ახალი პროექტებით ჩანაცვლება მოსკოვისთვის არცთუ ისე იოლი ამოცანაა. ერთადერთი ფაქტორი, რასაც შეუძლია საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია შეასუსტოს, არის ე.წ. ზანგეზურის კორიდორი (აზერბაიჯანი-სომხეთი-ნახჭევანის სატრანსპორტო ხაზი), რომელიც შესაძლოა „3+3“ ინიციატივის ნაწილი გახდეს (Lomsadze 2021). ამასთან აღსანიშნავია, რომ ერევანსა და ბაქოს შორის არსებული სისტემატური დაძაბულობა ბევრ ეჭვს ბადებს ამ სატრანსპორტო ხაზის მომავალთან დაკავშირებით. საქართველოში გამავალი გზების ზანგეზურის კორიდორით ჩანაცვლება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, უპირველეს ყოვლისა, მდგრად მშვიდობასა და შერიგებას საჭიროებს.

საქართველომ დიდი სიფრთხილე უნდა შეინარჩუნოს რუსეთთან ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობამ თავიდან უნდა აირიდოს ჩრდილოელ მეზობელთან ვაჭრობაზე დამოკიდებულობა. მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში „3+2" საქართველოს დიდ საფრთხეს ვერ შეუქმნის, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გრძელვადიანი რისკების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომები მიიღოს. შესაძლო იზოლირებიდან თავის დასაღწევად საქართველომ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ვაჭრობის, ენერგოთანამშრომლობისა და სატრანსპორტო სფეროებში სტრატეგიული პარტნიორობა უნდა გააღრმაოს. ამავდროულად, ქვეყანამ არ უნდა შეიცვალოს პროდასავლური კურსი და უნდა დარჩეს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ერთგული. საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირთან ერთად, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლის როლის მორგებაც უნდა სცადოს და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხებში დაეხმაროს. ეს პრობლემური საკითხები შეიძლება გადაიჭრას „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივის" ფარგლებშიც, რომლის იდეაც პირველად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან გააჟღერა (Gharibashvili, 2021). ბრიუსელმა უკვე გამოხატა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შერიგების პროცესებში ჩართვის ინტერესი ბრიუსელში სამმხრივი შეხვედრის დროს, რომელსაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა უმასპინძლა. საქართველოს მთავრობას შეუძლია ამ ფორმატში დამატებითი მხარე გახდეს და შემდგომი მოლაპარაკებებისთვის თავის მეზობელ ქვეყნებსა და ევროკავშირს თბილისში შეხვედრაც კი შესთავაზოს.

აქვე აღსანიშნავია დასავლეთის აქტიური ჩართულობის მიმართ რეგიონში არსებული დიდი დაინტერესებაც, რასაც ვაშინგტონმა და ბრიუსელმა გააქტიურებით უნდა უპასუხონ. პირველ რიგში, აშშ-მ და ევროკავშირმა უნდა განაგრძონ საკუთარი ბერკეტების გამოყენება, რათა ხელი შეუწყონ საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებსა და კანონის უზენაესობის გაძლიერებას. რეგიონში რბილი ძალის გასაძლიერებლად დასავლელი აქტორები სამხრეთ კავკასიაში, სამშვიდობო და შერიგების პროცესებში, უფრო პროაქტიულად უნდა ჩაერთონ და ბაქოსა და ერევანს შორის მოლაპარაკებების დამატებითი პლატფორმის შექმნით მედიატორები უნდა გახდნენ. ევროკავშირმა კი აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა უნდა გამოაცოცხლოს და ინიციატივის ქვეყნების მიმართ ერთნაირი მიდგომა უნდა ჩაანაცვლოს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მდგრადი პოლიტიკით (Glurjidze and Dzamukashvili, 2021). ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობა ბრიუსელს აღმოსავლეთ პარტნიორობის, როგორც ტრანსფორმაციის მექანიზმის, დღის წესრიგში შენარჩუნებაში უშლის ხელს. რეგიონში დემოკრატიის ეფექტიანად შენების პროცესები რომ გაგრძელდეს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები აუცილებლად უნდა შეჯერდნენ ერთიან პოზიციაზე — თუ რა სიღრმით უნდა იყოს სექტორული ინტეგრაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agenda. 2021. “MFA condemns use of Georgian flag at so-called 3+3 regional platform in Moscow.” *Agenda,* December, 2021.
2. Agenda. 2021a. “Georgian FM responds to media ‘misinterpretation’, says Georgia ‘not considering to participate’ in regional platform with Russia.” *Agenda,* October, 2021.
3. Anadolu Agency. 2021. “Russia suggests 3+3 format with Turkey, Iran, Azerbaijan, Armenia, Georgia in Caucasus.” *Anadolu Agency,* October, 2021.
4. Azernews. 2021. “First meeting of cooperation platform in 3+3 format to be held in Moscow.” *Azernews,* December, 2021.
5. Batiashvili, Zurab. 2021. „ჩვენი მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა, ერთი ერთზე არ დავრჩეთ რუსეთთან, თუ არ ვიაქტიურეთ, მტერი, რომელიც არცთუ ისე შორსაა, მოვა და მარტივად გადაგყლაპავს“. *Interpressnews,* January, 2021.
6. BBC. 2020. “Armenia, Azerbaijan and Russia sign Nagorno-Karabakh peace deal.” *BBC,* November, 2020.
7. Caucasus Watch. 2021. “Toward the implementation of ‘Persian Gulf-Black Sea’ International Corridor: Opportunities and Obstacles.” *Caucasus Watch,* November, 2021.
8. Coffey, Luke. 2021. “Georgia should not fear new transit routes in the South Caucasus.” *Middle East Institute,* March, 2021.
9. Gharibashvili, Irakli. 2021. “Georgia launches ‘Peaceful Neighborhood Initiative’ but gives few details.” *Commonspace,* September 2021.
10. Cooley, Alexander. 2017. “Whose Rules, Whose Sphere? Russian Governance and Influence in Post-Soviet States.” *Carnegie Endowment for International Piece,* June, 2017.
11. Daily News. 2020. “Turkey proposes 6-way Caucasus platform for peace and stability.” *Daily News.* December, 2020.
12. Detsch, Jack. 2020. “12 Years After Russian Invasion, Georgia Sees No End in Sight.” *Foreign Policy,* August, 2020.
13. Deutsche Welle. 2020. “Erdogan praises Azerbaijan’s ‘glorious victory,’ calls for regime change in Armenia.” December, 2020.
14. Dzamukashvili, Soso. 2021. “Three decades on, Armenia and Turkey edge slowly towards rapprochement.” *Emerging Europe,* September, 2021.
15. Dzamukashvili, Soso. 2021a. “Vital for economic development, Nakhchivan transport link brings more discord.” *Emerging Europe,* August, 2021.
16. Dzamukashvili, Soso. 2021b. “The Sochi Summit: A Small but Successful Step Toward Reconciliation Between Armenia and Azerbaijan.” *International Conflict Resolution Center,* December, 2021.
17. Dzamukashvili, Soso. 2020c. “What Is behind Putin’s Sudden Gambit in Ukraine?.”

Georgian Foundation for Strategic and International Studies, January, 2022.

18. Dzamukashvili, Soso. 2020d. "Is the Georgian Dream committed to democracy and European integration?" *New Eastern Europe*, no 5 (September-October): 87-92.

19. Glurjidze, Eter and Soso, Dzamukashvili. 2021. "The EU in the Georgian political crisis: Is it time to expand the cooperation?" *New Europe,* March, 2021.

20. Jam News. 2020. "NDI poll: 76% of Georgian respondents support EU membership, and 69% support NATO membership." *Jam News,* July, 2020.

21. Kaleji, Vali. 2021. "Iran and the 3+3 Regional Cooperation Format in the South Caucasus: Strengths and Weaknesses." The Jamestown Foundation*,* June, 2021.

22. Khachatryan, Artur. 2021. "'3 + 3' or '3 + 2': New format for solving problems in South Caucasus." *JamNews,* November, 2021.

23. Kucera, Joshua. 2021. "Iran seeks new role in post-war Caucasus." *Eurasianet,* January, 2021.

24. Kucera, Joshua. 2021a. "Azerbaijan retakes offensive in rhetorical war with Iran." *Eurasianet,* October, 2021.

25. Lomsadze, Giorgi. 2021. "Not all roads lead to Georgia." *Eurasianet,* March, 2021.

26. Minzarari, Dumitru. 2020. "Russia's Stake in the Nagorno-Karabakh War: Accident or Design?." German Institute for International and Security Affairs, November, 2020.

27. Paul, Amanda. 2018. "10 years on: Russia's occupation of Georgian territory." *Euobserver,* August, 2018.

28. Radio Free Europe/Radio Liberty. 2008. "Turkey Revives 'Caucasus Initiative,' But Faces Obstacles." *Radio Free Europe/Radio Liberty,* September, 2008.

29. Radio Free Europe/Radio Liberty. 2021. "Lavrov Dismisses Talk of Possible Turkish Military Base In Azerbaijan As 'Rumors.'" *Radio Free Europe/Radio Liberty,* June, 2021.

30. Reuters. 2020. "Turkey can open border if Armenia takes steps for peace -Erdogan." *Reuters,* December, 2020.

31. Reuters. 2020a. "Erdogan says Caucasus platform can turn new page in Turkey-Armenia ties -NTV." *Reuters,* December, 2020.

32. Tass. 2020. "Russia sends nearly 2,000 peacekeepers to Nagorno-Karabakh, defense ministry says." *Tass,* November, 2020.

33. The Telegraph. 2022. "US says it won't end NATO 'open door policy' despite Russian threat." *The Telegraph,* January, 2022.